

სვანური და მეგრულ-ლაზური
მეტყველებების საერთო
ძირ-ფუძეთა საკითხისთვის. IV.
ON THE ISSUE
OF COMMON ROOTS AND STEMS
IN SVAN AND MEGRELIAN-LAZ. IV.

რევაზ შეროზია

შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ზუგდიდი, საქართველო

Revaz Sherozia

Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi
Zugdidi, Georgia

ABSTRACT

Etymological works offer analysis of a considerable number of interesting lexical materials. At the same time, some of the correspondences are either inaccurate or, quite frequently, incomplete. Those who consider Svan, Megrelian, and Laz idioms as independent language systems, indicate the possibility of borrowings of lexical units between them. However, the above-mentioned idioms do not transcend beyond the scope of one system, they are rather different idioms of one language system. Therefore, the theory of borrowing lexemes (roots and stems) within the same system is unacceptable. It is possible to discuss the common material, but when certain roots do not occur in any of the idioms, it does not mean that the very root did not exist in a given idiom. That being said, a common root in any of the idioms may undergo semantic changes and move away from the original meaning. For instance, the Megrelian **birguli** („მუხლი” a knee) is employed to indicate wrestling in Svan: **hebergyl** ([he] is wrestling [with someone]: *ebirguleba*). There are also other lexical units that incorporate common roots and stems in Megrelian, Laz and Svan. From this perspective, the idioms that have preserved many interesting word forms are of particular interest.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, საერთოქართველური ლექსიკა, მეგრულ-ლაზური და სვანური მეტყველებები.

Keywords: Georgian language, Common Kartvelian vocabulary, Megrelian-Laz and Svan idioms.

ეტიმოლოგიურ ნაშრომებში არაერთი საინტერესო ლექსიკური ერთეულია გაანალიზებული. ამავე დროს, რიგი დაკავშირებები ან არაზუსტია, ან, არაიშვიათად, ნაკლებია. ისინი, ვინც სვანურ, მეგრულ, ლაზურ მეტყველებებს დამოუკიდებელ ენობრივ სისტემებად განიხილავენ, მათ შორის ლექსიკურ ერთეულთა სესხების შესაძლებლობაზე მიუთითებენ. მაგრამ დასახელებული ზეპირი მეტყველებები ერთი სისტემის ფარგლებს არ ცდებიან, ერთი ენობრივი სისტემის განსხვავებულ ზეპირ მეტყველებებს წარმოადგენს. შესაბამისად, ერთი სისტემის შიგნით ლექსემათა (ძირ-ფუძეთა) სესხების თეორია მიუღებელია. საუბარი შეიძლება იყოს საერთო მასალაზე, ხოლო ამა თუ იმ მეტყველებაში ესა თუ ის ძირი თუ არ ჩანს, ეს არ ნიშნავს, რომ არ იყო. მეორე მხრივ, საერთო ძირმა რომელიმე მეტყველებაში შეიძლება სემანტიკური ცვლილება განიცადოს და დაშორდეს ამოსავალ მნიშვნელობას. მაგალითად, მეგრული მეტყველების **ბირგული** („მუხლი“) სვანურში გამოყენებულია „ჭიდაობის“ აღსანიშნავად: **ხებერგდელ** (ეჭიდავება: „ებირგულება“) (შდრ. ფენრიხი... 2000: 155). მსგავსი მაგალითები სხვაც გვხვდება.

არნ. ჩიქოვამ ერთმანეთს შეუპირისპირა სალიტერატურო **გ-ავ-ს**, მეგრ. **გ-უ-ნ** და ლაზ. **ნ-გ-ამ-ს** / **გ-აფ-ს** („ჰგავს“) (ჩიქოვაძე 1938: 258). შემდეგ ეს ძირი გუ-ს სახით იქნა წარმოდგენილი (ფენრიხი... 2000: 152). ამავე დროს, ლექსიკონის ავტორებმა სალიტერატურო ფორმის გამოვლენა **გ**. კლიმოვს მიაწერეს, ხოლო სვანური ეკვივალენტი შეუმჩნეველი დარჩათ. მომდევნო ანალიზით ეს ძირი სვანურ **მეგუ**, **მეგუი** („ტოლი, თანაბარი“) და მეგრულ **მანგ** (< მაგ) ფორმებს დაუკავშირდა (ჩუხუა 2000-2003: 150). ავტორი შენიშნავდა, რომ „შესაბამისი ფუძე ქართულში ვერ გამოვავლინეთ“-ო (იქვე). როგორც ჩანს, არნ. ჩიქოვაძესეული დანაწევრება ფორმისა (**გ-ავ-ს**) მისაღები არ იყო (შდრ. ფენრიხი... 2000: 152).

მეგობარი ლექსემის ალ. ჭინჭარაძისეული ახსნა (მეგობარი < შეგუება) გაიზიარა ტ. ფუტკარაძემ, რომელმაც ამოსავალ ფორმად **გუ(ც)-ებ** ზმნური ფუძე მიიჩნია (ფუტკარაძე 2000: 46). ამ სიტყვის სემანტიკისას ძირად **გუობ-ს** ავირჩევთ თუ **გუებ-ს**, ორსავე შემთხვევაში გამოიყოფა **-ობ** და **-ებ** ნაწილი. **მე-** პრეფიქსის ჩამოცილებით გვრჩება **გ-ო**, სადაც **ო** (<უე ან უო უ-ს დაკარგვით) ძირისეული ვერ იქნება. ამდენად, არნ. ჩიქოვაძეს მიერ სალიტერატურო, მეგრული და ლაზური ფორმებისათვის **გ** ძირის გამოყოფა რეალურ ვითარებას ასახავს. ამ თვალსაზრისს კიდევ უფრო ამყარებს სვანურის (და ლაზურის) მონაცემები, სადაც ძირისეული პრეფიქსის გამოყოფა რთული არ არის: **მუ-გ-უ-ი**, **მუ-გ-უ**, **მე-გ-უ**, **მე-გ-უ-ი** (ტოლი, თანაბარი, თანასწორი) ფორმებში **მუ-** და **მე-** პრეფიქსები ერთმანეთს ენაცვლებიან. მეგრულის **მა-ნგ-ი** ფუძეშიც **მა-** პრეფიქსია (შდრ. მა-რდ-ი, მა-რგუ-ი...), **ნ** განვითარებულია.

შენიშვნა: ძველ ქართველურ მწერლობაში მხოლოდ „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ დადასტურებული **მანგი** („...სახე მანგი“) სპარსულიდან ნასესხებ ლექსემად არის მიჩნეული, რაც რეალობას აცდენილია (შეროზია 2009; 2010).

ჰგავს, შეგუება „თანაბარი, სწორი, მსგავსი“ მნიშვნელობისათვის ისტორიული **გ** ძირი გამოიყოფა, რომელმაც მეგრულ-ლაზურ და სვანურ

მეტყველებებში რამდენიმე ფუძე მოგვცა, რომელთა სემანტიკური სხვაობები დაუძლეველი არ არის.

ყურადღება მიიქცია სვანურის ფუძემ, სიტყვათშემოქმედების პროცესს რომ წარმოაჩენს: წისქვილთან დაკავშირებული ლექსემა **დოლებშირა / დოლობშირა / დოლაბშირა** „წიქვილის ქვა“ (თოფურია... 2000). ბალსზემოურ, ბალსქვემოურ და ლაშხურ ფორმებში დოლაბი **ე, ო** და **ა** ხმოვნებით განსხვავდება. სიტყვის მეორე კომპონენტი **შირა** ლექსიკონში ცალკე ერთეულადაც არის გამოტანილი: „შირა (შირა, შირადოლებ) განმარტებულია როგორც „დოლაბი, წისქვილის ქვა“. მეღებე იმდღე ხაძგერ შირას (ბზ. 57) „ლენტეხელმა წიხლი ჰკრა დოლაბს“ (თოფურია... 2000).

სვანურში ეს ძირი (შირ) ზმნურ ფუძეშიც მონაწილეობს: „ეშირე ფქვავს (ფქვილს ფეჟ ფორმა გადმოსცემს. იხ. ფენრიხი... 2000). შესაბამისად, **შირა** დოლაბის (წისქვილის ქვის) აღმნიშვნელი ვერ იქნება. ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ **დოლაბი** საერთოა სვანურისთვისაც. საფიქრებელია, რომ **შირ-** ძირი მეგრულის **შირუა** („ცვეთა; წყვეტა“) ფორმას იმეორებს: დი-შირ-უ „გაცვდა“; ეკო-შირ-უნ-ს „გაწყვეტს, მოსრავს“. საინტერესოა, რომ „მოსვრა“, „გაწყვეტის“ მნიშვნელობით მეგრულში **მოსირუა** ფუძეც გამოიყენება (მოსირილ ჩქინ ნტერეფი „გაწყვეტილი, მომსპარი ჩვენი მტრები“), სადაც **სირ-** ძირი გამოიყოფა. ამავე დროს **ლეს-** (ლეს-ავ-ს) ძირის ფარდი **ლას-**უნ-ს ასევე იტვირთავს „მოსპობის“, „დაქცევის“ მნიშვნელობას. დოლას ირფელ („გააქრო ყველაფერი“); ვამოლასირ სქან დუდი (დალოცვა „არწაშლილი, არმომსპარი შენი თავი“). სვანურის **აშერე** („ლესავს“), **აშირე** („ფქვავს“) და დოლებშირაში **შირა** ერთი ძირისანი ჩანან. მათ მეგრულში **შირუა** შეესატყვისება (შდრ.: ფენრიხი... 2000: 307, 416, 465; ჩუხუა 2000-2003: 306).

სვანურში დასტურდება **ნჩალ/ნჩალ/ნჩალ** ფორმები, რომელთაგან **ნჩალ** და **ნჩალ** „ჩრდილს“ აღნიშნავს, ხოლო **ნჩალ** – „დიდმარხვას“. როგორც ჩანს, **ნჩალ-** ძირი მეგრულის **ნჩალ-**ს იმეორებს (მონჩალუა „არიდება, აცილება“). „ჩრდილის“ და „არიდების“ მნიშვნელობები შეიძლება ერთმანეთს დაუვკავშიროთ („მზისგან არიდება“ = ჩრდილი), მაგრამ, ერთი შეხედვით, „ჩრდილის“ და „დიდმარხვის“ დაახლოება ძნელია. თუმცა გავიხსენოთ მეგრულის **პიჩვანი** (< **პიჯიშ ჩუალა** „მარხვა“), რომლის ამოსავალი მნიშვნელობა „ჭამა“ უნდა ყოფილიყო (შეროზია 2014: 314). მეგრულის **მონჩალა-**მ შესაძლებელია აგვიხსნას, სვანურში **ლენჩალ** ფორმამ რატომ შეითავსა „დიდმარხვის“ მნიშვნელობა (გარკვეული საკვებისგან თავის არიდება).

სვანურში სხვაც არაერთი ლექსემა (ძირ-ფუძე) იქცევს ყურადღებას მეგრულის ფორმებთან ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ: **ანჭომე / ანჭუმე** „მირბის“; მეგრ. **მიჭუმინ** „სწრაფად გარბის“; **ანტყუი** „ყლაპავს“; მეგრ. **ნტყვილუნს** „დიდი ლუკმებით (მადიანად) ჭამს“; **ბეტკ** „სალტე“; მეგრ. **ბეტკი** „კალათის (გიდელის) მოწვნისას გამოყენებული თხილის ტოტის ფენა“; **გონჯილ** „გლეჯა“; მეგრ. **ნჯილიკუა** „ხმაურით კეთება“; **ხეზი/ესბიზი** „ძლება“; მეგრ. **გობიზინაფა** „მაგრად გაძღომა (სიკვდილი)“; **ზენტხ** „შვრია“; მეგრ. **ზენტხ** „ზომიერად მსუქანი, ლამაზი გოგონა“; **იშუ** „რბილი ხორცი“; მეგრ. **შვენი** „საქონლის

კუჭ-ნაწლავებს მოხვეული რბილი ხორცი“; **იჩანგალ** „კოჭლობს“: მეგრ. **იჩანგალ** „ქანაობს, დადის (მთვრალი“; **კერძარე** „მოკეთე“: მეგრ. **ზისხირ დო კერძი** „სისხლით ნათესავი“; **ლამ** „ჭანჭრობი“: მეგრ. **ლამე** „ნესტიანი, გაუმშრალელები“ (იხ. ლამი სულხან-საბასთან და დალამნეს „ვეფხისტყაოსანში“); **ლიცხტე** „გადაცდენა, გაჩხერა“: მეგრ. **გინუცხირტ** „ლუკმა გადაუცდა“; **უნთური** „უცნობი“: მეგრ. **უთური** „გარეული, დაუმორჩილებელი“ (შხვაშ თური „უცხო“); **ქუაქუა** „დაბალი, მსუქანი ადამიანი“: მეგრ. **ქვაქვია/ქვექვია** (იგივე); **ცეც** „საადრეო სიმიწდის ჯიში“: მეგრ. **ციცუა** (იგივე); **ხუარც/ხუარს** „მუნი, ქეცი“: მეგრ. **ხვარცა** (იგივე); **ენძლა-ბენძლა** „შერკინება, ჭიდილი“: მეგრ. **ბანძლი** „აურზაური, ჩოჩქოლი“...
საშური სვანურის ლექსიკონის დამუშავება-შედგენა, თუნდაც იმავე მოცულობით, როგორც ეს გვაქვს მეგრულ-ლაზურის შემთხვევაში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იდიომები, რომლებშიც მრავალი საინტერესო ფორმა შემონახული.

გამოყენებული ლიტერატურა

- თოფურია... 2000:** თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი. თბილისი, 2000.
- ფენრიხი... 2000:** ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენთა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 2000.
- შეროზია 2009:** შეროზია რ., „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. I. თბილისი, 2009.
- შეროზია 2010:** შეროზია რ., „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. II. თბილისი, 2010.
- შეროზია 2014:** შეროზია რ., ზოგი რელიგიური ტერმინისათვის. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, VI. თბილისი, 2014.
- ჩიქობავა 1938:** ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938.
- ჩუხუა 2000-2003:** ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 2000-2003.